კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2017 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7
კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. მომზადების საფუძვლები 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 15
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 22
5. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები 23
6. ფული და ფულის ეკვივალენტები 25
7. გაცემული სესხები 25
8. სხვა აქტივები 26
9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 27
10. გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები 27
11. გადასახადები 28
12. მიღებული სესხები 29
13. საწესდებო კაპიტალი 30
14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი 30
15. სხვა შემოსავალი 30
16. სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები 31
17. პირობითი ვალდებულებები 31
18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა 32
19. კაპიტალის მართვა 36
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 36
21. ბალანსის შემდგომი მოვლენები 37

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი.თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ კაპიტალ ექსპრეს ჯგუფის (შემდგომში - 'ჯგუფი') თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ ვიყავით დანიშნული კომპანიის აუდიტორად 2017 წლის 31 დეკემბრამდე, შესაბამისად, ვერ დავესწარით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სალაროს ნაშთის ინვენტარიზაციას, რომელიც აღნიშნული თარიღისთვის შეადგენდა 159,207 ლარს. ალტერნატიული მეთოდებით ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მტკიცებულება სალაროში აღნიშნული ნაშთის არსებობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა სალაროს ნაშთთან დაკავშირებული შესაძლო საჭირო კორექტირების ეფექტი ფულისა და ფულის ეკვივალენტების მუხლსა და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების შემადგენელ ელემენტებზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს" მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის" მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

Scanned by CamScanner

განსაკუთრებულ გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჯგუფის 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტირებულ იქნა სხვა აუდიტორის მიერ, რომელმაც აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2017 წლის 28 სექტემბერს გასცა არამოდიფიცირებული დასკვნა. ჩვენ, 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-5 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შეცდომების შესწორების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნივართ ჯგუფის 2016 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული შესწორებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2016 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

Scanned by CamScanner

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი საღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქიონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტციცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი: ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბდოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

5 ივნისი 2018

Scanned by CamScanner

კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016 გადაანგარიშებული (შენიშვნა 5)	1 იანვარი 2016 გადაანგარიშებული (შენიშვნა 5)
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	804,062	398,389	511,363
გაცემული სესხები	7	4,440,745	4,065,198	3,727,180
სხვა აქტივები	8	196,575	126,264	24,198
ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	9	75,672	72,983	91,038
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	10	197,054	60,000	-
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		43,479	16,742	-
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	11	34,712	27,771	24,942
სულ აქტივები		**5,792,299**	**4,767,347**	**4,378,721**
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	12	2,428,655	1,722,167	1,384,957
მიმდინარე მოგების გადასახადი		-	-	105,066
სხვა ვალდებულებები		8,937	3,392	5,355
სულ ვალდებულებები		**2,437,592**	**1,725,559**	**1,495,378**
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	13	1,242,940	1,242,940	1,652,940
გაუნაწილებელი მოგება		2,111,767	1,798,848	1,230,403
სულ კაპიტალი		**3,354,707**	**3,041,788**	**2,883,343**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**5,792,299**	**4,767,347**	**4,378,721**

ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2018 წლის 5 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი ვახტანგ გოკიელი

მთავარი ბუღალტერი ალექსანდრე ხასია

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

Scanned by CamScanner

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 გადაანგარიშებული (შენიშვნა 5)
საპროცენტო შემოსავალი	14	1,267,519	1,100,059
საპროცენტო ხარჯი	14	(232,686)	(191,982)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		**1,034,833**	**908,077**
სესხების გაუფასურების რეზერვი	7	(10,934)	(21,011)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**1,023,899**	**887,066**
სხვა შემოსავალი	15	234,898	268,172
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	16	(738,943)	(652,629)
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(115,086)	237,228
მოგება დაბეგვრამდე		**404,768**	**739,837**
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(68,164)	(111,392)
სულ წლის სრული შემოსავალი		**336,604**	**628,445**

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2016 წლის 1 იანვრისთვის გადაანგარიშებული (შენიშვნა 5)	**1,652,940**	**1,230,403**	**2,883,343**
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(410,000)	-	**(410,000)**
გადახდილი დივიდენდები		(60,000)	**(60,000)**
წლის სრული შემოსავალი	-	628,445	**628,445**
2016 წლის 31 დეკემბრისთვის გადაანგარიშებული (შენიშვნა 5)	**1,242,940**	**1,798,848**	**3,041,788**
გადახდილი დივიდენდები	-	(23,685)	**(23,685)**
წლის სრული შემოსავალი	-	336,604	**336,604**
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,242,940**	**2,111,767**	**3,354,707**

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2017	2016 გადაანგარიშებული (შენიშვნა 5)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		**404,768**	**739,837**
კორექტირებები:			
სესხების გაუფასურების ხარჯი	7	10,934	21,011
ცვეთა და ამორტიზაცია	16	27,675	25,682
დარიცხული პროცენტის წმინდა ცვლილება	14	(1,034,833)	(908,077)
წმინდა (მოგება)/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან		115,086	(237,228)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**(476,370)**	**(358,775)**
საოპერაციო აქტივების (ზრდა)/შემცირება:			
გაცემული სესხები		(523,564)	15,493
სხვა აქტივები		(96,186)	(113,475)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება):			
სხვა ვალდებულებები		7,240	(7,194)
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან		**(1,088,880)**	**(463,951)**
მიღებული პროცენტი		1,222,000	1,090,858
გადახდილი პროცენტი		(238,927)	(189,482)
გადახდილი მოგების გადასახადი		(100,121)	(235,030)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან		**(205,928)**	**202,395**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	9	(21,364)	(4,502)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	9	(9,000)	(3,125)
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვა	10	(137,054)	(60,000)
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		**(167,418)**	**(67,627)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
სესხების მიღება		1,944,591	1,344,743
სესხების გადახდა		(1,210,663)	(1,144,587)
საწესდებო კაპიტალის შემცირება		-	(410,000)
დივიდენდების გადახდა		(23,685)	(60,000)
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდინება/(გადინება) ფინანსური საქმიანობიდან		**710,243**	**(269,844)**
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		**336,897**	**(135,076)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	**398,389**	**511,363**
გაცვლითი კურსის ცვლილების წმინდა ეფექტი უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		68,776	22,102
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	6	**804,062**	**398,389**

10-37 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ჯგუფი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შპს მისო კაპიტალ ექსპრესისა (დედა კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიისთვის (შემდგომში „ჯგუფი“ ან „კაპიტალ ექსპრეს ჯგუფი“) 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

დედა კომპანია დაარსდა 2012 წლის 20 დეკემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. ის რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404434028. დედა კომპანია თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ“).

ჯგუფი ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე და ძირითადი საქმიანობის ფარგლებში დედა კომპანია მომხმარებელს სთავაზობს: იპოთეკურ, სამომხმარებლო, ბიზნეს და ასევე, სალომბარდო სესხებს.

ჯგუფს მართავს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. ჯგუფის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბიზნესპოლიტიკას და ნიშნავს დირექტორს, რომელიც პასუხისმგებელია ჯგუფის ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ჯგუფის მფლობელებისა და წილობრივი გადანაწილების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია მე-13 შენიშვნაში. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის ვლადიმერ შარიქაძე.

დედა კომპანიის მისამართია ძველი თბილისის რაიონი, თამარ მეფის გამზირი #7, თბილისი, საქართველო.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობდა ინვესტიციებს შემდეგ კომპანიებში:

კომპანია	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016	საოპერაციო საქმიანობა
შპს კაპიტალ ინვესტი	100%	100%	100%	საინვესტიციო საქმიანობა
შპს ახალი ფინანსური ჯგუფი	12.5%	12.5%	-	ონლაინ სესხების გაცემა
შპს რაპიდო	16.5%	-	-	ტექსტილისა და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმწმენდა

ბ) ცვლილებები ქართულ კანონმდებლობაში

2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას მიკროსაფინანსო ორგანისზაციების შესახებ საქართველოს კანონში შემდეგი ცვლილებების შეტანას:

- მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს 100,000 ლარს (ნაცვლად 50,000 ლარისა როგორც ეს მანამდე იყო დადგენილი);
- პირის მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრაციისათვის მისი განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები (ნაცვლად 250,000 ლარისა, როგორც ეს მანამდე იყო დადგენილი). არსებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეავსონ 2019 წლის 1 ივლისამდე შემდეგი თანმიმდევრობით:
    - არანაკლებ 500,000 ლარისა – 2018 წლის 1 სექტემბრამდე;
    - არანაკლებ 1,000,000 ლარისა – 2019 წლის 1 ივლისამდე.

ავტორიზებული კაპიტალი მხოლოდ ფულადი ფორმით უნდა გაიზარდოს.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

ჯგუფი თავის ბუღალტრულ ჩანაწერებს აწარმოებს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, ჯგუფის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. ის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც შეფასდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მათი ეფექტის შესახებ, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ინფორმაციას. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

კომპანია ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება.

საჭიროების შეთხვევაში, ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები
- ფასს 16 - იჯარა

ფასს 15 შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

ხუთ ეტაპიანი მოდელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე "კონტროლი" კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორებიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 15-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნას გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა ჰეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობის ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია "რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში". აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.
- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. გაუფასურება. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის "მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის" მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა.

  მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა "ეკონომიკური ურთიერთობის" პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვაც. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

ფასს 16 - იჯარა. ფასს 16 - იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას.

იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას. ამჟამად, კომპანია აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ჯერ კიდევ ფასდება ახალი სტანდარტების, ფასს 15-ის, ფასს 9-ის და ფასს 16-ის ეფექტი, რადგან მათ შეიძლება ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის მომავალ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ჯგუფის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოშობილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფს არ გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და არც ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან გასაზღვრადი გადასახდელებითა და ფიქსირებული დაფარვის ვადებით კლასიფიცირებულია, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები მაშინ, როდესაც ჯგუფს გააჩნია მისი დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და შესაძლებლობა. ჯგუფს არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც არ შედის ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული და მოიცავს ჯგუფის სტრატეგიულ ინვესტიციებს არაშვილობილ საწარმოებში, ასოციაციებში ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებში, ასევე კორპორაციულ ობლიგაციებში. ისინი შეფასებულია რეალური ღირებულებით, ხოლო ცვლილებები რეალურ ღირებულებაში ჩვეულებრივ აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება გასაყიდად არსებულ რეზერვში. თუ არსებობს გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივის რეალური ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი შემცირება (რაც გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას წარმოადგენს), გაუფასურების მთლიანი ღირებულება, სხვა სრული შემოსავალში უკვე აღიარებული ნებისმიერი ოდენობის ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალში.

ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც არ კოტირდება აქტიურ ბაზარზე და მათი რეალური ღირებულების დადგენა სარწმუნოდ შეუძლებელია, წარმოდგენილია თვითღირებულებით, გაუფასურების გამოვლენილი დანაკარგების გათვალისწინებით თითოეული საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) ჯგუფი არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც ჯგუფის მიმართ არსებული ვალდებულებები, მათ შორის მიღებული სესხები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და ჯგუფს აქვს განზრახვა ზემოთხსენებულლი თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

(დ) ფასს 13 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);

2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და

3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

(ე) ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი საიმედო განსაზღვრაც შესაძლებელია. იმისათვის, რომ დაადგინოს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, ჯგუფი ძირითადად ისეთ ფაქტორებს განიხილავს, როგორიცაა მისი ვადაგადაცილების სტატუსი და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

ფინანსური აქტივის გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები:

- ნებისმიერი შენატანზე ვადაგადაცილება და დაგვიანება არ უკავშირდება საანგარიშსწორებო სისტემების შეფერხებულ მუშაობას;
- მსესხებელი მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეების წინაშე იმყოფება, რაც დასტურდება ჯგუფის მიერ მოპოვებული მსესხებლის ფინანსური ინფორმაციით;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრების ან ფინანსური რეორგანიზაციის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანი ცვლილება არსებობს მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის სტატუსში, რაც ქვეყნის ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ცვლილებებით არის გამოწვეული და რასაც გავლენა აქვს მსესხებელზე;
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება გაუარესებული საბაზრო მდგომარეობის გამო.

გაუფასურების ზარალის გამოთვლა ეფუძნება რისკიანი აქტივების ანალიზს და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას იმ ოდენობისას, რაც საკმარისია ზარალის დასაფარად. ანარიცხები იქმნება ინდივიდუალური შეფასებით იმ რისკიანი ფინანსური აქტივებისა ან აქტივთა ჯგუფისთვის, რომელიც არსებითია ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ ასებობს, არ იყოს გათვალისწინებული. თუ ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები დაექვემდებარება ხელახალ მოლაპარაკებებს ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან გამცემის ფინანსური სირთულეების მიზეზით, გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების ცვლილებამდე.

გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშის გავლით, რომ შეამციროს აქტივის საბალანსო ღირებულება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დონემდე (რომელიც შეიცავს მომავალ საკრედიტო დანაკარგებს, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია) დადისკონტირებულს აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლისას გათვალისწინებულია ფულადი ნაკადები, რომლებიც აქტივის გაყიდვით მიიღება გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით იმის მიუხედავად, მოსალოდნელი არის თუ არა აქტივის გაყიდვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა/ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში სისტემატურ საფუძველზე წრფივი მეთოდით. ცვეთა/ამორტიზაცია ერიცხება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადების მიხედვით:

ისტორიული ღირებულება	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლებში)
კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	5
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით
არამატერიალური აქტივები	5

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ჯგუფი აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების საწარმოდან გასვლა. ვალდებულების წარმომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც ჯგუფმა უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება.

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქნება ჯგუფის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, ჯგუფი სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, ჯგუფი აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვადლდებულება“ გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და
- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
  - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა ჯგუფს მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
  - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალთან ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება, შესაბამისად, სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის ფაქტობრივად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში (და იმ ოდენობით), როცა მოსალოდნელია, რომ მომავალში იარსებებს დასაბეგრი მოგება, რის ხარჯზეც მოხდება აღნიშნული აქტივის გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისთვის ითვალისწინებს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა სახის გადასახდელს, მათ შორის ტრანზაქციის დანახარჯებს, ფასნამატებსა და ფასდაკლებებს, რაც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი მოსაკრებლები მოიცავს გაცემის საკომისიოს, რომელიც მიიღება ან გადაიხდევინება პირის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან დაკავშირებით ან ფინანსური ვალდებულების გადმოცემასთან დაკავშირებით, მაგ.: კრედიტუნარიანობის შეფასების საფასური, გარანტიების ან გირაოს შეფასება და გატარება, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკება და ოპერაციის დოკუმენტების დამუშავება.

ჯგუფის მიერ მიღებულ სესხთან დაკავშირებული საკომისიო წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელს ნაწილს თუ მოსალოდნელია, რომ გააფორმებს გააფორმებს კონკრეტულ საკრედიტო ურთიერთობას და არ ელის სესხის რეალიზაციას მისი წარმოქმნიდან მოკლე პერიოდშივე.

როდესაც სესხებისა და სხვა ვალის ინსტრუმენტების ამოღება საეჭვოა, მათი ჩამოწერა ხდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე და საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკონტის საფუძველზე აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გაუფასურების ზარალის შესაფასებლად.

ყველა სხვა მოსაკრებელი და საკომისიო, ასევე სხვა შემოსავლები და ხარჯები, ზოგადად, ტარდება დარიცხვის საფუძველზე კონკრეტული ოპერაციის დასრულებასთან მიმართებით, რომელიც ფასდება ფაქტობრივად უზრუნველყოფილი მომსახურების საფუძველზე, როგორც მისაწოდებელი სრული მომსახურების შემადგენელი ნაწილი.

საკომისიო შემოსავლები, რომლებიც წარმოიქმნება მოლაპარაკებებიდან ან მესამე მხარესთან ოპერაციის თაობაზე გამართულ მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან, მაგ.: სესხების, წილებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე ბიზნესის შესყიდვა ან რეალიზაცია, რომლის გარემოებაც შესაბამისი ოპერაციის აღსრულებისას დგება, ტარდება დასრულებისას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც ჯგუფის თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ჯგუფის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	2.5922	3.1044
გაცვლითი კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	2.6468	2.7940
გაცვლითი კურსი 2016 წლის 1 იანვრისთვის	2.3949	2.6169

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სესხების და მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები

ჯგუფი რეგულარულად აფასებს სესხების პორტფელს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს სესხების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო, თუ საჭიროა, ინდივიდუალური სესხის მომავალ ფულად ნაკადებსაც. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს მსესხებლის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს სესხების პორტფელზე. მენეჯმენტი წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს სესხების პორტფელის გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია მენეჯმენტის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

მოგების გადასახადი

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ჯგუფი ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად ჯგუფი საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე იმის შესახებ, ექნება თუ არა ადგილი დამატებითი გადასახადებისა და პროცენტის დარიცხვას. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება იმის მიუხედავად, ჯგუფი დარწმუნებულია თუ არა, რომ მას შეუძლია თავისი საგადასახდო დეკლარაციების დასაბუთება. ჯგუფი მაინც თვლის, რომ არსებობს გარკვეული პრობლემული არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად, ჯგუფი ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზისა და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, ჯგუფი თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია ყველა არააუდიტირებული წლისათვის. ეს მოსაზრება ეყრდნობა დაშვებებს და შეფასებებს და შეიძლება შეიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალ მოვლენებზე.

5. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები

ჯგუფის მენეჯმენტმა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები და გააკეთა რეკლასიფიკაციები. მენეჯმენტის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას და კონსოლიდირებულ მოგება-ზარალს. კონკრეტულად, მენეჯმენტმა განახორციელა ცვლილებები შემდეგ საკითხებზე:

- გაასწორა იპოთეკური სესხების საეჭვო ვალების ანარიცხები უზრუნველყოფილი ქონების დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით;

- გაასწორა მოთხოვნა დარიცხულ და დაუფარავ ჯარიმებზე და წინდახედულობის პრინციპზე დაყრდნობით აღიარა საკასო მეთოდით;

- გაასწორა გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ზემოთ მოცემული ცვლილებების პროპორციულად;

- მოახდინა ნებაყოფლობითი რეკლასიფიკაციები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის.

წინა პერიოდის შეცდომების და რეკლასიფიკაციების გასწორების ეფექტი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე მუხლების მიხედვით შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგება	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
აქტივები				
გაცემული სესხები	4,105,369	(5,927)	(34,244)	**4,065,198**
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	111,247	-	(111,247)	**-**
წინასწარ გადახდილი გადასახადები	9,123	-	(9,123)	**-**
სხვა მიმდინარე აქტივები	22,372	-	(22,372)	**-**
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	60,000	-	(60,000)	**-**
სხვა აქტივები	-	-	126,264	**126,264**
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	-	-	60,000	**60,000**
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-	-	16,742	**16,742**
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	41,418	(13,647)	-	**27,771**
ვალდებულებები				
ვალდებულებები წარმოქმნილი მოწოდებიდან და მომსახურებიდან	55,766	-	(55,766)	**-**
საგადასახადო ვალდებულებები	1,362	-	(1,362)	**-**
სხვა ვალდებულებები	-	-	3,392	**3,392**
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	1,798,666	(19,574)	19,756	**1,798,848**

5. წინა პერიოდის შეცდომები და რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

წინა პერიოდის შეცდომების და რეკლასიფიკაციების გასწორების ეფექტი 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე მუხლების მიხედვით შემდეგია:

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
საპროცენტო შემოსავალი	1,193,226	(14,466)	(78,701)	**1,100,059**
საეჭვო სესხების ანარიცხების ხარჯი	(38,342)	17,331	-	**(21,011)**
საკომისიო შემოსავალი	134,481	-	(134,481)	**-**
სხვა შემოსავალი	-	-	268,172	**268,172**
სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	(620,611)	-	(32,018)	**(652,629)**
ცვეთა და ამორტიზაცია	(25,682)	-	25,682	**-**
წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	246,020	(8,792)	-	**237,228**
მიღებული დივიდენდი	55,000	-	(55,000)	**-**
სხვა შემოსავლები/(ხარჯები)	(6,346)	-	6,346	**-**
მოგების გადასახადის ხარჯი	(110,164)	(1,228)	-	**(111,392)**

წინა პერიოდის შეცდომების და რეკლასიფიკაციების გასწორების ეფექტი 2016 წლის 1 იანვრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე მუხლების მიხედვით შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგება	წინა პერიოდში წარდგენილი	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	გადაანგარიშებული
აქტივები				
გაცემული სესხები	3,740,022	18,392	(31,234)	**3,727,180**
სხვა მიმდინარე აქტივები	24,481	-	(24,481)	**-**
სხვა აქტივები	-	-	24,198	**24,198**
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	35,990	(11,048)	-	**24,942**
ვალდებულებები				
ვალდებულებები წარმოქმნილი მოწოდებიდან და მომსახურებიდან	36,498	-	(36,498)	**-**
საგადასახადო ვალდებულებები	105,440	-	(105,440)	**-**
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	-	105,066	**105,066**
სხვა ვალდებულებები	-	-	5,355	**5,355**
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	1,223,059	7,344	-	**1,230,403**

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ფული სალაროში	159,207	67	-
ფული ბანკში (ლარში)	65,828	113,430	8,794
ფული ბანკში (უცხოურ ვალუტაში)	579,027	284,892	502,569
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**804,062**	**398,389**	**511,363**

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით გაშიფრულია მე-18 შენიშვნაში.

7. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლების 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
გაცემული სესხები	4,393,019	4,052,057	3,702,229
დარიცხული პროცენტი	136,819	91,300	82,099
	4,529,838	**4,143,357**	**3,784,328**
გამოკლებული: საეჭვო ვალების ანარიცხები	(89,093)	(78,159)	(57,148)
სულ გაცემული სესხები	**4,440,745**	**4,065,198**	**3,727,180**

ცვლილებები სესხის გაუფასურების ანარიცხებში 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის:

	2017	2016
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	**78,159**	**57,148**
პერიოდის ხარჯი	10,934	21,011
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**89,093**	**78,159**

გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
მიმდინარე	3,890,981	3,523,298	3,259,181
1-30 დღის დაგვიანება	114,457	304,554	136,017
31-60 დღის დაგვიანება	28,747	8,209	117,998
61-90 დღის დაგვიანება	97,105	38,299	-
91-180 დღის დაგვიანება	77,812	37,994	149,997
181 დღეზე მეტი დაგვიანება	320,736	231,003	121,135
	4,529,838	**4,143,357**	**3,784,328**
გამოკლებული: საეჭვო ვალების ანარიცხები	(89,093)	(78,159)	(57,148)
სულ გაცემული სესხები	**4,440,745**	**4,065,198**	**3,727,180**

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია გაცემული სესხების უზრუნველყოფების შესახებ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
გაცემული სესხები უზრუნველყოფის გარეშე	404,569	183,788	178,540
უზრუნველყოფილი სესხები:			
უძრავი ქონებით	4,105,124	3,936,216	3,563,564
ავტოტრანსპორტით	20,145	23,353	42,224
	4,529,838	**4,143,357**	**3,784,328**
გამოკლებული: საეჭვო ვალების ანარიცხები	(89,093)	(78,159)	(57,148)
სულ გაცემული სესხები	**4,440,745**	**4,065,198**	**3,727,180**

ინფორმაცია გაცემული სესხების სახეობების შესახებ 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
იპოთეკური სესხი	3,719,941	3,768,057	3,116,875
სამომხმარებლო სესხი	323,185	-	-
ბიზნეს სესხი	190,511	351,947	625,229
განვადება	276,056	-	-
ავტო სესხი	20,145	23,353	42,224
	4,529,838	**4,143,357**	**3,784,328**
გამოკლებული: საეჭვო ვალების ანარიცხები	(89,093)	(78,159)	(57,148)
სულ გაცემული სესხები	**4,440,745**	**4,065,198**	**3,727,180**

8. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლების 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
დასაკუთრებული ქონება	154,341	111,247	-
სხვა	42,234	15,017	24,198
სულ სხვა აქტივები	**196,575**	**126,264**	**24,198**

9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერები და ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	პროგრამული უზრუნველყოფა და ლიცენზიები	სულ
2016 წლის 1 იანვარს	**22,426**	**58,290**	**23,855**	**34,596**	**139,167**
შემოსვლა	1,627	2,875	-	3,125	**7,627**
2016 წლის 31 დეკემბერს	**24,053**	**61,165**	**23,855**	**37,721**	**146,794**
შემოსვლა	6,755	14,609	-	9,000	**30,364**
2017 წლის 31 დეკემბერს	**30,808**	**75,774**	**23,855**	**46,721**	**177,158**
დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია					
2016 წლის 1 იანვარს	**(8,741)**	**(18,369)**	**(8,263)**	**(12,756)**	**(48,129)**
ცვეთა/ამორტიზაცია	(4,707)	(12,090)	(3,578)	(5,307)	**(25,682)**
2016 წლის 31 დეკემბერს	**(13,448)**	**(30,459)**	**(11,841)**	**(18,063)**	**(73,811)**
ცვეთა/ამორტიზაცია	(5,010)	(12,586)	(3,578)	(6,501)	**(27,675)**
2017 წლის 31 დეკემბერს	**(18,458)**	**(43,045)**	**(15,419)**	**(24,564)**	**(101,486)**
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2016 წლის 1 იანვარს	**13,685**	**39,921**	**15,592**	**21,840**	**91,038**
2016 წლის 31 დეკემბერს	**10,605**	**30,706**	**12,014**	**19,658**	**72,983**
2017 წლის 31 დეკემბერს	**12,350**	**32,729**	**8,436**	**22,157**	**75,672**

10. გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

	წილი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
შპს ახალი ფინანსური ჯგუფში	12.5%	60,000	60,000
შპს რაპიდოში	16.5%	137,054	-
სულ გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები		**197,054**	**60,000**

ჯგუფის ხელმძღვანელობა სარწმუნოდ ვერ აფასებს ზემოთ მოცემულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების რეალურ ღირებულებას. ეს ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურების გამოვლენილი დანაკარგების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11. გადასახადები

დროებით სხვაობებში ცვლილებების საგადასახადო ეფექტი აღრიცხული 15%-ანი განაკვეთით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

15%-იანი დროებითი სხვაობები გამოწვეულია:	1 იანვარი 2016	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2016	გამოკლებული (დამატებული) სრული შემოსავლის ანგარიშგებაში	31 დეკემბერი 2017
გაცემული სესხებით	**16,820**	(269)	**16,551**	7,908	**24,459**
ძირითადი საშუალებებითა და არამატერიალური აქტივებით	**(5,258)**	1,847	**(3,411)**	1,110	**(2,301)**
მიღებული სესხებით	**13,380**	1,251	**14,631**	(2,077)	**12,554**
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	**24,942**	**2,829**	**27,771**	**6,941**	**34,712**

მოგების გადასახადის ხარჯი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მიმდინარე მოგების გადასახადი	(75,105)	(114,221)
დროებითი სხვაობების ეფექტი	6,941	2,829
მოგების გადასახადის ხარჯი	**(68,164)**	**(111,392)**

მოგების გადასახადის ხარჯის რეკონსილაცია დადგენილი განაკვეთის მიხედვით შემდეგნაირია:

	2017	2016
მოგება დაბეგვრამდე	**404,768**	**739,837**
საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი	**(60,715)**	**(110,976)**
მუდმივი სხვაობების ეფექტი	(7,449)	(416)
მოგების გადასახადის ხარჯი	**(68,164)**	**(111,392)**

12. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
სესხის ძირი	2,344,963	1,624,630	1,295,758
დარიცხული პროცენტი	83,692	97,537	89,199
სულ მიღებული სესხები	**2,428,655**	**1,722,167**	**1,384,957**

შემდეგ ცხრილში მოცემულია მიღებული სესხების დასაფარი ნაშთი და დარიცხული პროცენტი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ფიზიკური პირებისგან	1,934,150	1,722,167	1,384,957
ბანკებისგან	494,505	-	-
სულ მიღებული სესხები	**2,428,655**	**1,722,167**	**1,384,957**

ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები მერყეობს 11%-დან 15%-მდე ხოლო, ბანკისგან მიღებული სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 9%-ს.

ინფორმაცია მიღებული სესხების სახელშეკრულებო ვადებსა და სავალუტო ანალიზის შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

სესხებში განხორციელებული ფულადი და არაფულადი ცვლილებები, რომლებიც მიღებულია ფინანსური აქტივობების შედეგად, შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს შემდეგნაირად:

	მიღებული სესხები
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,722,167**
ფულადი ნაკადები	495,001
არაფულადი ნაკადები:	
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	232,686
წმინდა ეფექტი სავალუტო ოპერაციებიდან	(21,199)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**2,428,655**

13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დამფუძნებელი	წილი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ვლადიმერ შარიქაძე	40%	497,176	497,176	661,176
თამარ შარიქაძე	20%	248,588	248,588	330,588
ნინო შარიქაძე	20%	248,588	248,588	330,588
ნანი კასრაძე (2017 წლის 24 დეკემბრამდე)*	20%	248,588	248,588	330,588
სულ საწესდებო კაპიტალი	**100%**	**1,242,940**	**1,242,940**	**1,652,940**

*2017 წლის 24 დეკემბრის შემდეგ, ნანი კასრაძის წილის გადანაწილება დარეგულირდება საქართველოს საკანონმდებლობით

14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

საპროცენტო შემოსავალი წარმოქმნილია:	**2017**	**2016**
გაცემული სესხებიდან	1,226,413	1,098,081
სხვა ოპერაციებიდან	41,106	1,978
სულ საპროცენტო შემოსავალი	**1,267,519**	**1,100,059**

საპროცენტო ხარჯი წარმოქმნილია:	**2017**	**2016**
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხებიდან	(223,492)	(191,982)
ბანკებისგან მიღებული სესხებიდან	(9,194)	-
სულ საპროცენტო ხარჯი	**(232,686)**	**(191,982)**

წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურების რეზერვამდე	**1,034,833**	**908,077**

15. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	2017	**2016**
შემოსავალი ჯარიმებიდან	149,758	130,562
შემოსავალი სესხების ადრე დაფარვისა და რესტრუქტურიზაციის საკომისიოებიდან	45,305	44,558
მიღებული დივიდენდი	-	55,000
სხვა	39,835	38,052
სულ სხვა შემოსავალი	**234,898**	**268,172**

16. სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები

სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის შეიძლება წარმოდგენილ იქნეს შემდეგნაირად:

	2017	2016
ხელფასის ხარჯი	(382,961)	(321,006)
იჯარის ხარჯი	(126,863)	(116,219)
ბონუსის ხარჯი	(41,006)	(57,204)
მსესხებლის კრედიტუნარიანობის შემოწმების ხარჯი	(28,469)	(25,318)
სასამართლოს ხარჯი	(28,437)	(36,821)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(27,675)	(25,682)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი	(22,650)	(20,632)
დაზღვევის ხარჯი	(16,272)	(11,134)
ოფისის მოვლის ხარჯი	(13,200)	(8,890)
საკომისიო ხარჯი	(8,009)	(3,027)
საკომუნიკაციო ხარჯი	(7,830)	(6,604)
კომუნალური ხარჯი	(5,819)	(5,149)
სხვა	(29,752)	(14,943)
სულ სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	**(738,943)**	**(652,629)**

საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯები მოიცავს აუდიტის ხარჯს, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 6,800 ლარს დღგ-ს გარეშე.

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში დროდადრო მის მიმართ შესაძლოა წარმოიშვას გარკვეული საჩივარი ან სასამართლო დავა.

ჯგუფის კლიენტების მხრიდან სესხის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომპანია იწყებს სასამართლო დავას კლიენტის წინააღმდეგ. ასეთი დავის უმაღლესი შესაძლო შედეგი არის კლიენტისგან მისაღები სესხის თანხა (მოიცავს დარიცხულ პროცენტს და სხვა ხარჯებს).

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა კლიენტის მიერ სასესხო ვალდებულების დაფარვა ხასიათდება განუსაზღვრელობით, ჯგუფი ქმნის ანარიცხს სესხების გაუფასურებისთვის, რომელზეც ინფორმაცია მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ფინანსური ინსტიტუტების მსგავსად, ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რომ მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისთვის, რომლებიც ლიკვიდური ან მოკლევადიანია (სამ თვემდე ვადით), ითვლება, რომ მათი საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია, რომ შექმნას ისეთი პოლიტიკა, რომელიც მიზანმიმართული იქნება რისკების მინიმუმამდე შემცირებისკენ ჯგუფის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის გაუარესების გარეშე. აღნიშნულ პოლიტიკებთან დაკავშირებული დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ. საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ონლაინ სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტების რისკების მართვაში. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ჯგუფის საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არა საბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება მენეჯმენტის მიერ.

ჯგუფის რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ.

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმუმს. საანგარიშგებო პერიოდისათვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა იყო:

	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016	1 იანვარი 2016
ფული და ფულის ეკვივალენტები (სალაროს გარდა)	644,855	398,322	511,363
გაცემული სესხები	4,440,745	4,065,198	3,727,180
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	197,054	60,000	-
საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	**5,282,654**	**4,523,520**	**4,238,543**

ჯგუფის საკრედიტო რისკი გაცემულ სესხებთან დაკავშირებით მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი მუდმივად ახორციელებს მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესს. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოდგენილია მომდევნო გვერდზე მოცემულ ცხრილში, რომელიც დაფუძნებულია ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე.

ვალდებულებების ლიკვიდურობა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	844,860	1,250,162	333,633	**2,428,655**

ვალდებულებების ლიკვიდურობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შედეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	321,032	1,401,135	**1,722,167**

ვალდებულებების ლიკვიდურობა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შედეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	სულ
მიღებული სესხები	496,332	888,625	**1,384,957**

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	225,035	579,027
გაცემული სესხები	2,851,070	1,589,675
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	197,054	-
მთლიანი ფინანსური აქტივები	**3,273,159**	**2,168,702**
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	489,186	1,939,469
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**489,186**	**1,939,469**
ღია საბალანსო პოზიცია	**2,783,973**	**229,233**

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	113,498	284,891
გაცემული სესხები	979	4,064,219
გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები	60,000	-
მთლიანი ფინანსური აქტივები	**174,477**	**4,349,110**
ფინანსური ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	1,722,167
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	**-**	**1,722,167**
ღია საბალანსო პოზიცია	**174,477**	**2,626,943**

18. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა ჯგუფზე 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,794	502,569	-
გაცემული სესხები	24,361	3,691,749	11,070
მთლიანი ფინანსური აქტივები	33,155	4,194,318	11,070
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	1,384,957	-
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	-	1,384,957	-
ღია საბალანსო პოზიცია	33,155	2,809,361	11,070

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას ქართულ ლართან მიმართებით უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების 20%-იან ზრდასა ან კლებაზე და წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაძლო ცვლილებაზე. მგრძნობელობის ანალიზის მოიცავს მხოლოდ უცხოური ვალუტის დენომინირებულ ფულად სახსრებს და აკორექტირებს წლის ბოლოსთვის უცხოურ ვალუტის 20% საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიხედვით. სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე და კაპიტალზე გავლენა, ფინანსური ინსტრუმენტების საფუძველზე 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	(ლარი / აშშ დოლარი)	
მგრძნობელობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებაზე	2017	2016
20% ზრდა	45,847	525,389
20% შემცირება	(45,847)	(525,389)

ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, მაგალითად საპროცენტო განაკვეთი, უცვლელია.

- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ჯგუფის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ჯგუფის შემოსავლებსა ან ხარჯებზე.

19. კაპიტალის მართვა

ჯგუფის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ ჯგუფმა გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- შეესაბამებოდეს სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის მოთხოვნილებებს; და
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება აქციონერებისთვის.

ჯგუფი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. ჯგუფი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან დააკორექტიროს კაპიტალის სტრუქტურა, ჯგუფმა შეიძლება დააკორექტიროს მფლობელებისათვის გადახდილი დივიდენდები, დაუბრუნოს კაპიტალი მფლობელებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ ჯგუფთან (მათ შორის, დამფუძნებელ ორგანიზაციასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს ჯგუფში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს ჯგუფზე;

(ბ) ორგანიზაციის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ)მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კოტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. ჯგუფსა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებლები	მენეჯმენტი
მიღებული სესხები	273,979	-
საპროცენტო ხარჯი	(33,986)	-
ხელფასის ხარჯი (უმაღლესი ხელმძღვანელობა)	-	(83,438)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ტრანზაქციები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა ამ თარიღში:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებლები	მენეჯმენტი
მიღებული სესხები	273,132	-
საპროცენტო ხარჯი	(64,839)	-
ხელფასის ხარჯი (უმაღლესი ხელმძღვანელობა)	-	(81,563)

დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	დამფუძნებლები
მიღებული სესხები	172,433

21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

წილის გადაცემა - 2018 წლის 28 მარტს, ჯგუფის 40%-ის მფლობელმა ვლადიმერ შარიქაძემ თავისი კუთვნილი წილი უსასყიდლოდ გადასცა საკუთარ დას, ჯგუფის 20%-ის მფლობელს, თამარ შარიქაძეს. შესაბამისად, წილები გადანაწილდა შემდეგნაირად: თამარ შარიქაძე - 60%, ნინო შარიქაძე - 20% და ნანი კასრაძე - 20% (ნანი კასრაძის წილის შემდგომი გადანაწილება დარეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით).

დივიდენდის გაცემა - 2018 წლის 18 აპრილს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, პროპორციულად განაწილდა დივიდენდი ჯამური თანხით 175,257 ლარი.